



## თელავის საკანალიზაციო მთავარი მაგისტრალის რეაბილიტაცია

### გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების  
მეორე პროექტი

თბილისი, საქართველო

ივლისი 2015

## გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული ცენტრალური კოლექტორის რეაბილიტაციას ქალაქ თელავში. ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს თელავში, კახეთის რეგიონის, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე პროვინციას წარმოადგენს, მთავარ ქალაქსა და ადმინისტრაციულ ცენტრში. მისი მოსახლეობა დაახლოებით 21,800 სულს შეადგენს. ქალაქი მდებარეობს ცივ გომბორის ქედის მთისწინეთში, 500–800 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

თელავის საკანალიზაციო სისტემა უმეტესწილად მოწყობილია  $d=200$  მმ მილებით და წარმოადგენს თვითდენით მილსადენს.  $d=300$  მმ მილების კოლექტორები კვეთს საირიგაციო სისტემის მაგისტრალურ არხს, გადის ჩრდილოეთისაკენ, და ერთდება აეროპორტის მიმდებარე თელავი-ყვარელის გზატკეცილის სიახლოვეს, შემდეგ მიჰყვება გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, კვეთს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და ჩამდინარე წყლები ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობაში მიაქვს, რომელიც მდინარე ალაზნის ნაპირზე, ჭალის ზედა ფერდობზე მდებარეობს. გაწმენდილი წყალი გამშვები მილით მდინარე ალაზანში ჩაედინება.

თელავის საკანალიზაციო სისტემა (*მთავარი კოლექტორები*) ფაქტიურად დანგრეულია და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. ათწლეულების განმავლობაში, საკანალიზაციო სისტემა არ მოიცავდა ჩამდინარე წყლების რაიმე სახით გაწმენდას და აღარ არსებობს საკანალიზაციო წყლების სათანადო დრენაჟი კი. ამჟამად თელავის ფეკალური კანალიზაციის ქსელი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მაგრამ ალაზნის საირიგაციო სისტემის მაგისტრალური არხის ზედა (მარჯვენა) მხარეს, კოლექტორები 3 ადგილას დაზიანებულია და ეს წყლების ჩაედინება საირიგაციო არხში. რადგანაც არხი შრება წელიწადის ზოგიერთ პერიოდში, არხში ჩამდინარე საკანალიზაციო წყლები მნიშვნელოვნად ართულებს სანიტარულ პირობებს. როდესაც არხი ექსპლუატაციაშია, ირიგაციისათვის გამოყენებული დაბინძურებული წყალი გაედინება სოფლებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. გამშვები საკანალიზაციო კოლექტორი და წყალგამწმენდი ნაგებობა ასევე ამორტიზებულია. ქვე-პროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ქალაქ თელავის ჩამდინარე წყლების შეგროვება და გადაცემა გასაწმენდად არსებულ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში. მგფ-ს დაგეგმილი აქვს ძველი დაზიანებული წყალგამწმენდის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია, რაც განხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერილი და SIDA-ს გრანტით დაფინანსებული ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის (SWMP) ფარგლებში. ქვე-პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2015 – 2017 წლებში.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს საკანალიზაციო კოლექტორების რეაბილიტაციას. სარეაბილიტაციო კოლექტორების საერთო სიგრძე შეადგენს 16,240 მეტრს. სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს ახალი საკანალიზაციო კოლექტორების მოწყობას და 31 ცალი D=1.5 მ და 312 ცალი D=1 მ რკინაბეტონის საკანალიზაციო ჭის მოწყობას კოლექტორებზე. ძველი საკანალიზაციო მილების გამოცვლა დაგეგმილი არ არის, ისინი დარჩება ძველ პოზიციებზე და დამონტაჟდება ახალი მილები არსებული კოლექტორების პარალელურად. კოლექტორების საპროექტო პარამეტრები ეფუძნება საკონსულტაციო ფირმა "ILF"-ის მიერ მომზადებულ თელავის ჩამდინარე წყლების პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას. 2040 წლისათვის კოლექტორების მიერ მომსახურებული მოსახლეობის რაოდენობა უდრის: თელავი – 23,461 სული, სოფელი კურდღელაური – 5,183 სული, სოფელი ვარდისუბანი - 3,326 სული, სოფელი შალაური- 2,952 სული, სულ – 34,922 სული. კოლექტორებისათვის ჩატარებული ჰიდრავლიკური გამოთვლებისათვის გამოყენებული იქნა კონკრეტული წყლის მოხმარების მაჩვენებელი - 225ლ/სულზე/დღეში; დაწესებულებები - 10%. პიკური დატვირთვის ფაქტორი უდრის 3. პროექტი ითვალისწინებს მაღალი სიმკვრივის სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის (HDPE) გოფრირებული მილების (სტანდარტი EN 13476-1) გამოყენებას კოლექტორების მოსაწყობად.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს საკანალიზაციო კოლექტორების შემდეგი მონაკვეთების რეაბილიტაციას:

1) კოლექტორი "A" - სათავეს იღებს ჭიდან (D = 1.0 მ. H = 2.0 მ), რომელიც განლაგებულია კავკასიონის ქუჩის ბოლოს; ეს არის მაგისტრალური მილსადენი, საიდანაც ჩამდინარე წყლები მიედინება წყალგამწენდ ნაგებობაში. კოლექტორის დიამეტრი ვარიირებს შემდეგ დიაპაზონში  $D_n = 300-700$  მმ.

2) კოლექტორი "B" ( $D_n = 300$  მმ) სათავეს იღებს ჭიდან (D=1,0მ; h=1,5მ ;) რომელიც მდებარეობს ალაზნის გამზირზე არსებული არხის თავზე და უერთდება "A" კოლექტორს # 48 ჭაში.

3) კოლექტორი "C" ( $D_n = 300$  მმ) სათავეს იღებს ჭიდან (D=1.0მ. H=1,0მ.), რომელიც მდებარეობს სულხანიშვილის ქუჩაზე არსებული ხიდის და საირიგაციო არხის გადაკვეთის ადგილას, სოფელ კურდღელაურში და უერთდება "A" კოლექტორს # 65 ჭაში.

4) აქტიური კოლექტორი "D", რომელიც იწყება მესხიშვილის ქუჩაზე, ქალაქის სამხრეთ ნაწილში, აგროვებს ქალაქის ჩამდინარე წყლების მეხუთედ ნაწილს და  $d=400$  მმ მილით მიედინება თელავი-ყვარელის გზატკეცილის გასწვრივ აეროპორტის

სამხრეთისაკენ და იქ ჭას უერთდება. იმის გამო, რომ მილს მცირე დიამეტრი აქვს და დაზიანებულია მისი გამოყენება მომავალში შეუძლებელია.

დასამონტაჟებელი კოლექტორების დიამეტრები და სიგრძეები მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში:

<i>N</i>	<i>საკანალიზაციო კოლექტორი მილის დიამეტრი, მმ</i>	<i>სიგრძე, მ</i>
1	315	4,550
2	400	5,488
3	600	3,497
4	700	2,705
	<b>სულ</b>	<b>16,240</b>

ქვე-პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

რამდენიმე ადგილას, მილსადენი კვეთს სხვადასხვა საკომუნიკაციო სისტემების ქსელებს, შპს “დელტა კომ“-ის მფლობელობაში მყოფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების ჩათვლით, რუსთავი-თელავი-ჟინვალის  $d = 200$  მმ გაზსადენის მაგისტრალს, და ბუნებრივი გაზის ადგილობრივ მილსადენებს, რომლებიც ქვე-პროექტის დერეფანში არის განლაგებული. ზემოხსენებული ქსელების სამშენებლო სამუშაოების დროს დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ოპერატორი ორგანიზაციები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი დაგეგმილი საქმიანობების შესახებ და პროექტი მათთან იქნა შეთანხმებული (შესაბამისი წერილები თანდართულია დოკუმენტზე).

**(A) ზემოქმედების იდენტიფიცირება**

<p>ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი ზეგავლენა გარემოზე, ხოლო მისი გრძელვადიანი გავლენა იქნება პოზიტიური.</p> <p>მშენებლობის ფაზაზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოებთან, რაც მოიცავს ახალი საკანალიზაციო კოლექტორების მონტაჟს და რკინაბეტონის საკანალიზაციო ჭების მოწყობას. ქვე-პროექტი გააუმჯობესებს ქალაქ თელავის და მისი მიმდებარე ტერიტორიების სანიტარულ პირობებს, სადაც ჩამდინარე წყლები გადის ძველ დაზიანებულ კოლექტორებში და არაცენტრალიზებულად იღვრება ბუნებრივ გარემოში</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენა, გააუმჯობესებს რა ქალაქ თელავის საკანალიზაციო სისტემის ტექნიკურ პირობებს, რასაც სასარგებლო ზემოქმედება ექნება ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაზე და გარემოზე საკანალიზაციო სისტემის მიმდებარე ტერიტორიაზე.</p> <p>სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოკლევადიანი იქნება და დამახასიათებელია ურბანულ გარემოში მიმდინარე მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, მოძრაობის დროებითი შეფერხება,</p> <p>ძველი საკანალიზაციო მილების გამოცვლა დაგეგმილი არ არის, ისინი დარჩება ძველ პოზიციებზე და დამონტაჟდება ახალი მილები არსებული კოლექტორების პარალელურად.</p> <p>ამგვარად, მოსალოდნელი არ არის არანაირი მყარი ნარჩენების წარმოქმნა, როგორცაა ძველი,</p>

	<p>დაზიანებული და დაზინძურებული საკანალიზაციო მიწები.</p> <p>ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად მოდიფიცირებულ გარემოში. შესაბამისად, ზემოქმედება გარდამავალი და უმნიშვნელოა (ხმაური, გამონაბოლქვები, სამშენებლო ნარჩენები, მოძრაობისა და მისადგომობის დროებითი შეზღუდვა და ა.შ.). გარემოზე ზემოქმედების შესამსუბუქებლად უზრუნველყოფილი უნდა იქნას გამომუშავებული მყარი ნარჩენების სათანადოდ განკარგვა.</p> <p>საკანალიზაციო სისტემის ექსპლოატაციისას ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ზემოთ მითითებულ საქმიანობებთან, მოვლა-პატრონობის სამუშაოების გამო, და გაზრდილი მოცულობის ჩამდინარე წყლების წარმოქმნასა და ბუნებრივ გარემოში, მდინარე ალაზანში, ჩაშვებასთან.</p>
<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის ახალი ფართობის დაკავებას და განსახლებას.</p> <p>გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება სასარგებლო იქნება, რადგანაც თემი უზრუნველყოფილი იქნება განახლებული საკანალიზაციო სისტემით. ქვე-პროექტი გააუმჯობესებს თელავის და მიმდებარე ტერიტორიების სანიტარულ მდგომარეობას, სადაც არაცენტრალიზებული ჩამდინარე წყლები იღვრება ბუნებრივ გარემოში და შემცირდება ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი.</p> <p>მოსალოდნელია შეზღუდული და მოკლევადიანი დადებითი ზემოქმედება, რაც დაკავშირებულია სამუშაო ადგილების შექმნასთან მშენებლობაზე და ასევე შეზღუდული ზემოქმედება ექსპლოატაციის პერიოდში.</p>

	<p>უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და შეზღუდული მხოლოდ სამუშაოების განხორციელების ადგილით. უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ ფაქტორებთან.</p> <p>ტერიტორია, რომელზეც ქვე-პროექტი მდებარეობს არ არის კერძო საკუთრებაში.</p>
--	---

**(B) ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები**

<p>განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?</p>	<p>რადგანაც ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული საკანალიზაციო კოლექტორების რეაბილიტაციას, განხილული იქნა შემდეგი ალტერნატივები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არსებული დაზიანებული მილების ამოთხრა და ამოღება და ახლების მონტაჟი იმავე ადგილებში; და</li> <li>• ახალი მილების მონტაჟი არსებული კოლექტორების პარალელურად, დაზიანებული მილების ამოღების გარეშე.</li> </ul> <p>გარემოსდაცვითი რისკების და ზემოქმედების შესამცირებლად, გადაწყდა მე-2-ე ალტერნატივის განხორციელება, რაც გულისხმობს ახალი მილების მონტაჟს არსებული კოლექტორების ამოღების გარეშე.</p>
<p>ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?</p>	<p>მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება მშენებლობის ფაზაზე შესაძლოა ადვილად იქნას შემსუბუქებული. კონტრაქტორს ევალება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების განთავსება ნებადართულ ადგილას;</li> <li>• მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული მასალის გამოყენება, მასალების შესყიდვა მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისაგან, წყლისა და ნიადაგის დაცვა დაბინძურებისაგან (საწვავის დაღვრა აღჭურვილობის გაუმართაობის გამო, ბეტონის დაღვრები და ა.შ.);</li> <li>• მოსახლეობის შეწუხების თავიდან აცილება (ხმაური, მტვერი, გამონახოლქვები) სამუშაოების/მოწოდების გრაფიკის სათანადოდ</li> </ul>

	<p>დაგეგმვით, სამშენებლო მექანიზმების კარგი ტექნოლოგიებით, და ა.შ.</p> <ul style="list-style-type: none"><li>• ნიადაგის ზედა ფენის სწორად განკარგვით. იგი უნდა მოიხსნას, სათანადოდ დასაწყობდეს და შემდგომ გამოყენებულ იქნას ადგილისა და გამწვანებისათვის.</li></ul> <p>ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, რაც დაკავშირებულია ძველ გამოუსადეგარ საკანალიზაციო კოლექტორებთან, გადაწყდა მათი დატოვება თავის ადგილას და ახალი მილების გაყვანა არსებულის პარალელურად. აგრეთვე ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი ზემოქმედებების თავიდან აცილება, რომელიც დაკავშირებულია საკანალიზაციო კოლექტორების უმოქმედობასთან.</p> <p>სისტემის ექსპლოატაციის დროს უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ჩამდინარე წყლების გაზრდილ მოცულობასთან, რომელიც გაწმენდის გარეშე გაედინება ბუნებრივ გარემოში, მდინარე ალაზანში.</p> <p>თელავში ასაშენებელი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პროექტი და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია მომზადების პროცესშია და დაფინანსდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერილი და SIDA-ს გრანტით დაფინანსებული ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის პროექტის (SWMP) ფარგლებში. ეს თავიდან აგვაცილებს ან მინიმუმამდე დაიყვანს ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებულ ზემოქმედებას.</p> <p>მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში (2015-2020) გათვალისწინებულია თელავის და მისი მიმდებარე სოფლების საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის პროგრამა ითვალისწინებს ახალი ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას ძველის ადგილას.</p> <p>დამატებით, უნდა მოეწყოს დაახლოებით 6.3 კმ სიგრძის სატრანსპორტო მილსადენი, რომელიც</p>
--	---



	<p>საკანალიზაციო ქსელს დააკავშირებს წყალგამწმენდთან და 1.65 კმ სიგრძის ჩამდინარე წყლის მილსადენი წყალგამწმენდიდან მდინარე ალაზნამდე.</p> <p>წყალგამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტი წვლილს შეიტანს მდინარე ალაზნის დაბინძურების აღკვეთაში/შემცირებაში. ILF -ის კონსულტანტის ანგარიშის საფუძველზე (თელავის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის <i>საბოლოო პროექტი, 2015 წლის მარტი; ერთობლივი საწარმო ILF Beratende Ingenieure ZT GmbH, Saunders Group Ltd. და p2mberlin GmbH –ILF -ის ხელმძღვანელობით</i>) პირველ ფაზაზე გათვალისწინებულია 495.4 ტონა BOD და 680.7 ტონა TSS დამაბინძურებლების მოშორება წელიწადში, ხოლო 2040 წლისათვის ეს მაჩვენებელი მიაღწევს 1814.1 ტონა BOD-ს და 1759.7 ტონა TSS-ს.</p> <p>ზემოხსენებული ქსელების დაზიანების თავიდან ასაცილებლად მშენებლობის პროცესში, ოპერატორი ორგანიზაციები წინასწარ იყენენ ინფორმირებულნი დაგეგმილი საქმიანობების თაობაზე და პროექტი შეთანხმებული იქნა მათთან (შესაბამისი წერილები თანდართულია დოკუმენტზე).</p>
<p>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</p>	<p>მგვ-ს დიდი გამოცდილება გააჩნია სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დაფინანსებული წყალმომარაგებისა და წყალარინების საშუალო და ფართომასშტაბიანი ქვე-პროექტების განხორციელებაში. წინა პროექტებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე, პროექტი ითვალისწინებს არა მარტო ახალი საკანალიზაციო ჭების მოწყობას, არამედ მათ ჰიდროიზოლაციას, რათა თავიდან იქნას აცილებული ჩამდინარე წყლების გაჟონვა და გრუნტის წყლების დაბინძურება. ეს ზომები ასევე თავიდან</p>

	<p>აგვაცილებს გრუნტის წყლების ინფილტრაციას ჭებში.</p>
<p>ჩართული იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა?</p>	<p>ქვე-პროექტი მომზადებულია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ . თელავის მერიასთან და მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე.</p> <p>მუნიციპალური განვითარების ფონდმა და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა ჩაატარეს საკონსულტაციო შეხვედრა თელავის მოსახლეობასთან და განიხილეს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე.</p>

**(C) რანჟირება**

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

## სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შექმნა (საზოგადოებრივი ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლეული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება
ქვე-პროექტის დასახელება	სოფელ მუხროვანის გზების რეაბილიტაცია
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული ცენტრალური კოლექტორის რეაბილიტაციას ქალაქ თელავში. ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს თელავში, კახეთის რეგიონის, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე პროვინციას წარმოადგენს, მთავარ ქალაქსა და ადმინისტრაციულ ცენტრში. მისი მოსახლეობა დაახლოებით 21,800 სულს შეადგენს. ქალაქი მდებარეობს ცივ გომბორის ქედის მთისწინეთში, 500–800 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.</p> <p>ქვე-პროექტი ითვალისწინებს საკანალიზაციო კოლექტორების რეაბილიტაციას. სარეაბილიტაციო კოლექტორების საერთო სიგრძე შეადგენს 16,240 მეტრს. სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს ახალი საკანალიზაციო კოლექტორების მოწყობას და 31 ცალი D=1.5 მ და 312 ცალი D=1 მ რკინაბეტონის საკანალიზაციო ჭის მოწყობას კოლექტორებზე. პროექტი ითვალისწინებს მაღალი სიმკვრივის სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის (HDPE) გოფრირებული მილების (სტანდარტი EN 13476-1) გამოყენებას კოლექტორების მოსაწყობად. კოლექტორების საპროექტო პარამეტრები ეფუძნება საკონსულტაციო ფირმა "ILF"-ის მიერ მომზადებულ თელავის ჩამდინარე წყლების პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას.</p> <p>ქვე-პროექტი ითვალისწინებს საკანალიზაციო კოლექტორების შემდეგი მონაკვეთების რეაბილიტაციას:</p> <p>1) კოლექტორი "A" - სათავეს იღებს ჭიდან (D = 1.0 მ. H = 2.0 მ), რომელიც განლაგებულია კავკასიონის ქუჩის</p>

	<p>ბოლოს; ეს არის მაგისტრალური მილსადენი, საიდანაც ჩამდინარე წყლები მიედინება წყალგამწეიდ ნაგებობაში. კოლექტორის დიამეტრი ვარირებს შემდეგ დიაპაზონში <math>D_n = 300-700</math> მმ.</p> <p>2) კოლექტორი "B" (<math>D_n = 300</math> მმ) სათავეს იღებს ჭიდან (<math>D=1,0</math>მ; <math>h=1,5</math>მ ;) რომელიც მდებარეობს ალაზნის გამზირზე არსებული არხის თავზე და უერთდება "A" კოლექტორს # 48 ჭაში.</p> <p>3) კოლექტორი "C" (<math>D_n = 300</math> მმ) სათავეს იღებს ჭიდან (<math>D=1,0</math>მ. <math>H=1,0</math>მ.), რომელიც მდებარეობს სულხანიშვილის ქუჩაზე არსებული ხიდის და საირიგაციო არხის გადაკვეთის ადგილას, სოფელ კურდღელაურში და უერთდება "A" კოლექტორს # 65 ჭაში.</p> <p>4) აქტიური კოლექტორი "D", რომელიც იწყება მესხიშვილის ქუჩაზე, ქალაქის სამხრეთ ნაწილში, აგროვებს ქალაქის ჩამდინარე წყლების მეხუთედ ნაწილს და <math>d=400</math> მმ მილით მიედინება თელავი-ყვარელის გზატკეცილის გასწვრივ აეროპორტის სამხრეთისაკენ და იქ ჭას უერთდება. იმის გამო, რომ მილს მცირე დიამეტრი აქვს და დაზიანებულია მისი გამოყენება მომავალში შეუძლებელია.</p> <p>ქვე-პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.</p>		
<p><b>ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)</b></p>	<p>ჯგუფის ხელმძღვანელი: აჰმედ იაივიდა, ჯგუფის ხელმძღვანელის მოდაგილე: ქსიაოლან ვანგი</p>		<p>უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე ნინო მეტრეველი მიშელე რობოსიო</p>
<p><b>განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)</b></p>	<p>განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი</p>	<p>სამუშაოთა ზედამხედველი: Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain</p>	<p>სამუშაოთა კონტრაქტორი:</p>

<b>ადგილმდებარეობის აღწერა</b>	
<b>ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</b>	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
<b>ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</b>	ვაჟა ფშაველას გამზ. #76, თბილისი, საქართველო (ცენტალური ოფისი) ერეკლე II-ს ქ. #6 თელავი, საქართველო (რეგიონალური სერვისცენტრი)  ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი მდებარეობს თელავში, კახეთის რეგიონში. თბილისიდან მანძილი შეადგენს 30 კმ-ს.
<b>ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)</b>	მუნიციპალური საკუთრება
<b>ფიზიკური და ბუნებრივი გარემო</b>	<b>ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები</b>  ადმინისტრაციულად სამშენებლო ტრასა მდებარეობს კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.  თელავის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი; ჩრდილო-აღმოსავლეთით - დაღესტნის რესპუბლიკა, აღმოსავლეთით - ყვარლის, სამხრეთ-აღმოსავლეთით გურჯაანის, სამხრეთ-დასავლეთით - საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. თელავის მუნიციპალიტეტის ფართობია 1095 კმ <sup>2</sup> . აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 33156 ჰა უკავია. მუნიციპალიტეტის მიწების დიდი ნაწილი უჭირავს ფართოფოთლოვან ტყეებს.  ოროგრაფიულად საკვლევ რაიონში გამოიყოფა ორი ერთეული: კავკასიონის სამხრეთი ფერდი, კერძოდ გომბორის ქედი და ალაზნის ველი.  გომბორის ქედი წარმოადგენს კავკასიონის სამხრეთი ფერდის განშტოებას, რომლის ჰიფსომეტრიული სიმაღლეები ზღვის დონიდან 1000-2000 მეტრს შორის მერყეობს. რელიეფი

ხასიათდება ციკაბო ფერდობებით, ღრმა და ვიწრო ხეობების სიმრავლით.

ალაზნის ველს აქვს გლუვი რელიეფი, ღერძის მიმართ კიდეების უმნიშვნელო დაქანებით. მორფოლოგიურად წარმოადგენს ვაკეს, რომლის მარცხენა და მარჯვენა კიდეებს აქვს ტალღისებური ზედაპირი, რაც განპირობებულია ურთიერთგადამფარავი გამოტანის კონუსების არსებობით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით რთული აგებულებისაა. მისი ცენტრალური ნაწილი გაშლილია ალაზნის აკომულაციურ ვაკეზე, რომელიც გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს ტექტონიკურ ერთეულს. შემოზღუდულია სამხრეთ-დასავლეთით გომბორის ქედით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით - კახეთის კავკასიონით. ვაკის სიმაღლე აღწევს 350-600 მეტრს.

თელავის მუნიციპალიტეტის მთავარ ჰიდროგეოლოგიურ არტერიას ქმნის მდინარე ალაზანი და მისი აუზი. აღსანიშნავია მდინარეები: კისისხევი, თურდო, თელავისხევი და სხვა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 120C, აბსოლუტური მაქსიმუმი - +390C; ნალექების რაოდენობაა 700-800მმ წელიწადში.

**საკვლევი რაიონის ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური პირობები**

საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, სამშენებლო ტრასა მდებარეობს საქართველოს ბელტის აღმოსავლეთ დაპირვის ოლქში, ნეოგენის ნახევრადკლდოვანი და პლასტიკური ზღვიური და კონტინენტური და მტკვრისა და ალაზნის ალუვიურ-პროლუვიური ფხვიერი და პლასტიკური მეოთხეული ნალექების რაიონებში და ალაზნის ველის ქვერაიონში.

ალაზნის ველის ქვერეიონი მიეკუთვნება ახალგაზრდა სინკლინურ ჩაღუნვას, რომელიც აგებულია ალაზნის სერიის მიოცენურ-პლიოცენური კონტინენტური მოლასებით და გადაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიურ-პროლუვიური წარმონაქმნების მძლავრი კომპლექსით (300მ-მდე). თანამედროვე ეპოქაში გრძელდება დენუდაციური მასალის ჩამოტანა ცივ-გომბორის ქედიდან, მძლავრი სელური ნაკადების სახით, რომლებიც ქმნიან 50-150 მეტრი სიმაღლის გამოტანის კონუსებს.

ალუვიურ-პროლუვიური ნალექები წარმოდგენილია შემდეგი სახესხვაობების მორიგეობით: კენჭნარები კაჭრებით, ქვიშისა და ქვიშნარის შემავსებლით; კენჭნარები თიხნარისა და თიხის შემავსებლით; ქვიშები და ქვიშნარები, რომლებიც გადაფარულია ლიოსისებური თიხნარებით (5-10მ). ფილტრაციის კოეფიციენტები მკვეთრად იცვლებიან ქანების შედგენილობისა და შემავსებლის ტიპის მიხედვით: მათი მაქსიმალური მნიშვნელობები შეინიშნება პროლუვიურ კენჭნარებში (2,2-2,8მ/დღ), ქვიშნარებსა და ქვიშებში (0,9-1,9მ/დღ), ხოლო თიხოვან-თიხნაროვანი გრუნტები პრაქტიკულად წყალშეუღწევადია (0,15-0,0007მ/დღ).

**საკანალიზაციო გამყვანი კოლექტორის ტრასის საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება**

თელავის საკანალიზაციო გამყვანი კოლექტორი, სიგრძით 16230 მეტრი, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში, კმ 0 და კმ 16+230 პიკეტებს შორის მთლიანად აგებულია ძველმეოთხეულ ალუვიურ-პროლუვიურ ნალექებში.

**სეისმურობა**

საქართველოს ტერიტორია, როგორც კავკასიის სეისმოაქტიური რეგიონის შემადგენელი ნაწილი, მიეკუთვნება ხმელთაშუა ზღვის სეისმურ სარტყელს და მდებარეობს სეისმური აქტივობის ზომიერ ზონაში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 7 ოქტომბრის სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.09) დამტკიცების შესახებ, საკვლევი ტერიტორია, ზოგადი სეისმური



	<p>დარაიონების სქემის მიხედვით, განეკუთვნება 9-ბალიან სეისმურ რაიონს, 0,28 სეისმური კოეფიციენტით.</p> <p>2012 წლის მონაცემებით, თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 71 200 კაცს, აქედან ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 19 400 კაცს, სოფლად კი ცხოვრობს 51 800 კაცი. მუნიციპალიტეტში 23 დასახლებაა, მათ შორის 22 სოფელი. მოსახლეობის სიმჭიდროვე 36 კაცი/კმ<sup>2</sup>-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67კაცი/კმ<sup>2</sup>) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.</p> <p>მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და მომსახურების სფერო. მუნიციპალური ბიუჯეტი ადგილობრივი შემოსავლებისა და გამოთანაბრებითი ტრანსფერის ჩათვლით შეადგენს 15 387 300 ლარს.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>წყლის მიწოდება მოხდება მუნიციპალური წყალსადენიდან.</p> <p>უახლოესი ლიცენზირებული კარიერი მდებარეობს 5 კმ-ში.</p>
<b>კანონმდებლობა</b>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი.</p> <p>ქვე-პროექტი მიღებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოსდაცვით შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;</li> <li>(ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა);</li> <li>(iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა),</li> </ul>

	<p>ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის ქარხნისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შექმენისა);</p> <p>(iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული სამშენებლო ნარჩენები (მოჭრილი მიწა, სედიმენტები) განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.</p> <p>(v) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე კონტრაქტორსა და ნაგავსაყრელის ოპერატორ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის, ასფალტის ქარხნის ოპერირების და ნარჩენების განკარგვის ნებართვების ასლები თანდართული უნდა იყოს გარემოს დაცვითი ღონისძიებების გეგმაზე კონტრაქტორის შერჩევის და ობიექტზე მობილიზაციისას.</p> <p>დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.</p>
<b>საჯარო კონსულტაცია</b>	
<p>სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?</p>	<p>2105 წლის 8 ივლისს ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში განხილულ იქნა ქვეპროექტის გარემოს დაცვის მართვის გეგმა. ოქმი თანდართულია</p>
<b>დანართები</b>	
<p>დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა  დანართი 2: შეთანხმებები  დანართი 3: საჯარო კონსულტაციის ოქმი</p>	

**ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ**

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>A</b>
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>A</b>
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>B</b>
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>C</b>
	E. მიწის შექმენა <sup>1</sup>	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>D</b>
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები <sup>2</sup>	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>E</b>
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>F</b>
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>G</b>
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>H</b>

<sup>1</sup> მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შექმნილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შექმნილ მიწაზე.

<sup>2</sup> ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

**ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები**

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
<p><b>0.</b> ზოგადი პირობები</p>	<p>ინფორმირება და უსაფრთხოება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>(a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის;</li> <li>(b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით;</li> <li>(c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა;</li> <li>(d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით;</li> <li>(e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები);</li> <li>(f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.</li> </ul>
<p><b>A.</b> ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად;</li> <li>(b) პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით;</li> <li>(c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე;</li> <li>(d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა;</li> <li>(e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა;</li> <li>(f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით.</li> </ul>
	<p>ხმაური</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>(a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით;</li> <li>(b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან;</li> <li>(c) სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოძრაონ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით;</li> <li>(d) უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე;</li> <li>(e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი;</li> </ul>

	წყლის ხარისხი	<p>(f) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მაყუჩები.</p> <p>(a) კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწიოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იქნეს წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს წყალგაუმტარი მასალით. გატარებული უნდა იქნეს სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან სილის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში და ახლომდებარე ნაკადულებისა და მდინარეების ამღვრევას.</p> <p>(b) მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე;</p> <p>(c) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ზეთების, გამხსნელებისა და საღებავების შესაბამის შენახვა და გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაჟონვები და დაღვრა. მანქანა მექანიზმების ყოველდღიური შემოწმება უნდა განხორციელდეს რათატავიდან იქნას აცილებული გაჟონვები ან სხვა მსგავსი პრობლემები. სატრანსპორტო საშუალებების ტექ მომსახურეობა, რეხცვა და გაპოხვა უნდა ხდებოდეს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მყარ ნიადაგზე და არა ხელპოვნურად შექმნილ გრუნტზე. ეს ადგილები უნდა მდებარეობდეს მდინარიდან არანაკლებ 50 მეტრში.</p> <p>(d) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი).</p> <p>(e) არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში.</p>
	ნარჩენების მართვა	<p>(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები;</p> <p>(b) მინერალური სამშენებლო და ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მინერალური სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო სხვა სახის ნარჩენები უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში;</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები უნდა შეგროვდეს და განთავსდეს შესაბამისად ლიცენზირებული შემგროვებლების მიერ.</p> <p>(d) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(e) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).</p>
	მასალების მიწოდება	<p>a) გამოყენებული უნდა იქნეს არსებული კარიერები და ქარხნები რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>b) ახალი კარიერის და/ან სამტეხლოს ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>c) კარიერის და/ან სამტეხლოსმიის გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p>

		<p>d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.</p> <p>e) განთავსდეს სიჩქარის მარეგულირებელი, შემოვლითი გზისა და გამაფრთხილებელი ნიშნები.</p>
<p><b>B.</b> ნარჩენი წყლების ინდივიდუალური დამუშავების სისტემა</p>	<p>წყლის ხარისხი</p>	<p>(a) სამშენებლო ტერიტორიიდან (მონტაჟი ან რეკონსტრუქცია) სანიტარული ნარჩენებისა და ნარჩენი წყლების დამუშავების წესები დამტკიცებული უნდა იქნას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.</p> <p>(b) მიმღებ წყლებში ჩადინებამდე, ინდივიდუალური ნარჩენი წყლების სისტემიდან მომდინარე ნარჩენი წყლები დამუშავებული უნდა იქნას ჩამდინარე წყლებზე და ნარჩენი წყლების დამუშავებაზე ნაციონალური სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისი ხარისხის მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით.</p> <p>(c) განხორციელდება ახალი ნარჩენი წყლების მართვის სისტემების (დამონტაჟებამდე/ დამონტაჟების შემდეგ) მონიტორინგი</p> <p>(d) სამშენებლო მანქანები და ტექნიკა მხოლოდ ამ მიზნით გამოყოფილ ადგილებზე გაირეცხება, სადაც ნარეცხი წყალი არ დააბინძურებს გამდინარე წყლებს.</p>
<p><b>H</b> სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ;</li> <li>▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა;</li> <li>▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან პირუტყვის გადაადგილების საათებში;</li> <li>▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ;</li> <li>▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხითმოსიარულეთა უსაფრთხო მისასვლელები მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან, ოფისების შენობებთან.</li> <li>▪ სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შესამცირებლად, სათანადო ნიშნების დაყენება ( გზა ვიწროვდება/ფრთხილად ფეხით მოსიარულეები) ადგილობრივ საგზაო პოლიციასთან შეთანხმებით.</li> </ul>

**ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა**

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
<b>სამშენებლო ფაზა</b>						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა;  სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით;  ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა და მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება;  ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა;  ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	<p>ზედმეტი გრუნტის დროებით დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ადგილას;</p> <p>ნათხარი მიწის უკუჩაყრა და/ან მისი გატანა ოფიციალურად განსაზღვრულ ადგილას;</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების მყისიერად შეჩერება, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის შეტყობინება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროს ოფიციალური დასტურის შემდეგ.</p> <p>ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა მიწის</p>	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	<p>მიწის სამუშაოების წარმოებისას</p> <p>მშენებლობის პერიოდში: ნიადაგის ზედა ფენის მოხსნიდან მის აღდგენამდე</p>	<p>სამშენებლო მოედნის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნაგვით დაბინძურების თავიდან აცილება;</p> <p>ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანებისა და დანაკარგის თავიდან აცილება;</p> <p>ნიადაგის ზედა ფენის დანაკარგის თავიდან აცილება.</p>	მფგ, მშენებლობის ზედამხედველი




ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>სამუშაოების დაწყებამდე;</p> <p>ნიადაგის ზედა ფენის სათანადოდ დასაწყობების პრაქტიკის გამოყენება; დორებითი დამცავი ლამის ღობეების აღმართვა;</p> <p>მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენის გამოყენება ალდგენისა და გამწვანებისათვის.</p>					
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p>	ინერტული მასალის კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმუმაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;</p> <p>ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია;</p> <p>ნარჩენების განთავსების ტერიტორია</p>	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი,

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება;  სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;  მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა					
<b>საოპერაციო ფაზა</b>						
რეაბილიტირებული საკანალიზაციო კოლექტორების ტექნოსახურება	ტექნოსახურების სამუშაოების დაგეგმვა ნაკლები მოძრაობის საათებში და გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება ტექნოსახურების არეალში	რეაბილიტირებული კოლექტორები	ინსპექტირება	საკანალიზაციო სისტემის ექსპლოატაციის დროს	ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების მინიმუმამდე დაყვანა; მყარი ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება	ქალაქ თელავის მერია; საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა



ჩაღვრა საირიგაციო არხში კურდღელაურის ქუჩაზე და სავარაუდო გამზომ ჭაში



საირიგაციო არხისაკენ მიმავალი (ახმეტიდან დედოფლისწყარომდე) მაგისტრალური მილსადენის დაბოლოება ალაზნის ბულვარზე (კანალიზაცია მთავრდება შემდგომი 50 მ-ის შემდეგ, დატბორილ ორმოში)



თელავის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისაკენ მიმავალი ძველი საკანალიზაციო მაგისტრალის დაბოლოება ალაზნის ხიდისაკენ მიმავალ შიდასახელმწიფოებრივ გზაზე

თელავის მაგისტრალური კოლექტორი, რომელიც ჩაედინება საირიგაციო არხში

## დანართი 2: შეთანხმებები

Delta Comm LLC  
3 Gairdsall Dr. 31124  
Tbilisi, Georgia  
Tel: +995 32 2343468  
Fax: +995 32 410510 (130)  
Home Page: www.delta-comm.ge  
Email: info@delta-comm.ge



№ 52/02-15  
13.02.2015

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის  
დირექტორის მოადგილეს ტექნიკურ და ოპერირების საკითხებში  
ბატონ ლევან ვაშაკიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 08 იანვრის N87/1 წერილის პასუხად გაცნობებით, რომ თქვენი კომპანიის მიერ ქადაქ თელავში კანალიზაციის გაშენის კონტრაქტის მოწყობისათვის განსახორციელებელი სამუშაოების წარმოების აუცილებელია ესწრებოდეს შპს „დელტა კომში“-ს თანამშრომელს.

ამასთან, შპს „დელტა კომში“-ს საკუთრებაში არსებულ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელონ სამუშაოები უნდა განხორციელდეს ხეუბი წარმომადგენლის მკაცრი სუბამხედველობის ქვეშ შემდეგი ტექნიკური პირობების გათვალისწინებით:

- კვთი უნდა განხორციელდეს კომუნიკაციის ქვეშოდან ან ზემოდან არანაკლებ 0.3 მეტრისა გარსაცავ ფოლადის ან პლასტიკის მილში.
- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას შექნისხმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს „დელტა კომში“-ს საკუთრებაში არსებულ კომუნიკაციოდან არანაკლებ 3 მეტრის დაშორებით.
- ხოლო, კომუნიკაციოდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში სამუშაოები უნდა შესრულდეს ხედიო, ხეუბი წარმომადგენლის აუცილებელი თანდასწრებით.
- თუ, თქვენი კომუნიკაცია პარალელურად მიუყვება ხეუბის, მაშინ განსთავალისწინებელია ის, რომ დაშორება მათ შორის არ იყოს 1.5 მ-ზე ნაკლები. გათვით, მიწის სამუშაოების დაწყების დრო გვეცნობით წინასწარ და არანაკლებ ხანო დღით ადრე დაუკავშირდეთ ხეუბს თანამშრომელს შემდეგ საკონტაქტო ნომრებზე:

ფანო ჯიბუტი: 577 58 55 16

032 234 34 68.

პატივისცემით  
დირექტორი



პაატა ქიქოძე



№ 2/06-1/28-01/4  
 28.01.2015 წ.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“  
 დირექტორის მოადგილეს ტექნიკურ და ოპერირების საკითხებში  
 ბატონ ლევან ვაშაქიძეს

შპს „საქართველოს გაერთიანებული  
 წყალმომარაგების კომპანია“  
 რკს № 1/2822  
 28.01.2015 წ.

ასლი: საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის  
 დირექტორს ტექნიკურ საკითხებში  
 ბატონ ზაქარია ავალიანს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 8 იანვრის №87/1 წერილის პასუხად ვაცნობებთ, რომ  
 თქვენს მიერ წარმოდგენილი ქთელაის კანალიზაციის გამყვანი კოლექტორის  
 პროექტით, რუსთავი-თელავი-ფინჯალის დ 200 მმ მაგისტრალური გაზსადენი იკვეთება  
 I ადგილზე, გაზსადენის 133 კმ-ზე.

გადაკვეთის წერტილის კოორდინატებია:

№	X	Y	გაზსადენის კილომეტრაჟი
1	541087.432	4644151.169	133.0

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია წინააღმდეგი არ იქნება  
 შპს „საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ“ განახორციელოს  
 აღნიშნული სამუშაოები საცივალური ტექნიკური პირობების გათვალისწინებით:

1. სამუშაოების წარმოებისას უპირობოდ უნდა იყოს დაცული საქართველოს  
 მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის № 365 დადგენილების მოთხოვნები.
2. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მშენებარე ორგანიზაციამ საგურამოს  
 სახაზო-საექსპლოატაციო ფილიალში უნდა მიიღოს დაწესებული ფორმის  
 წერილობითი ნებართვა (მისამართი: ზოფ.საგურამო, დირექტორი იური  
 ბურდული, საკონტაქტო ტელეფონი 577 37-17-17, 599 51-81-05).
3. წერილობითი ნებართვის მიღების შემდეგ საექსპლოატაციო ფილიალის  
 წარმომადგენელთან ერთად ადგილზე დაზუსტდეს მაგისტრალური  
 გაზსადენების ადგილმდებარეობა და სიღრმე, განლაგება, მიმართულება და  
 სხვა.
4. მშენებლობის პროცესში აუცილებელია საექსპლოატაციო ორგანიზაციის იმ  
 წინადადებების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოთა  
 უსაფრთხოდ წარმოებას და გაზსადენების დაცვას დაზიანებისაგან.
5. ბრძანებით უნდა დაინიშნოს სამუშაოთა წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.
6. გაზსადენის დაცვის ზონაში მიწის სამუშაოების მექანიზმებით შესრულებისას  
 მექანიზმის ოპერატორზე (მუშაუნაზე) გაცემულ უნდა იქნეს განწეს-დაშვება  
 წერილობითი ფორმით, სადაც განსაზღვრული იქნება სამუშაოთა უსაფრთხოდ  
 შესრულების პირობები.



7. მაგისტრალურ გაზსადენზე მძიმე ტექნიკით გადასვლა უნდა მოხდეს წინასწარ მოწეობილ სპეციალურ გადასასვლელებზე, მოეწეოს მიწაერილები 0.5მ ზიმაღლის და ზევიდან დაღაგდეს 20 სმ სისქის რკინა-ბეტონის ფილები.
8. კანალიზაციის კოლექტორით მაგისტრალური გაზსადენის გადაკვეთის შემთხვევაში გაზსადენიდან ორივე მხარეს 2 (ორი) მეტრის მანძილზე მიწის ხაზუშაობა უნდა შესრულდეს მხოლოდ ზელით (საექსპლოატაციო ფილიალის წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ).
9. თუ კანალიზაციის კოლექტორი ჩაიდება გაზსადენის პარალელურად იგი დაშორებული უნდა იქნას გაზსადენის ღერძიდან არანაკლებ 10 (ათი) მეტრით, თანახმად (СНП 2.05-06-85\*).
10. გაზსადენი უნდა გადაკვეთოს ძალის ძირიდან არანაკლებ 0.35მ ხილრმზე (ლითონის გარცმის მიღში).
11. შესაძლებელია ზევიდან გადაკვეთაც, თუ დაცული იქნება ნორმით გათვალისწინებული ჩაღრმავებები.
12. გაზსადენის გადაკვეთა უნდა მოხდეს არანაკლები 60<sup>0</sup>-იანი კუთხით.
13. გაზსადენების გადაკვეთის ადგილებში, ცველგან დაიდგას გამაფრთხილებელი ნიშნები, რომელიც მათითებს კანალიზაციის კოლექტორის ადგილმდებარებას.
14. საკანალიზაციო კოლექტორის საპროექტო და სამშენებლო ხაზუშაობების ჩატარება უნდა შეთანხმდეს მიწის მფლობელთან

დანართი: გადაკვეთის სქემა – 1 ფურცელი

პატივისცემით

ზვიად როსტომაშვილი

გენერალური დირექტორის  
პირველი მოადგილე



საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია  
GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION



საქართველო, თბილისი, 0190 კახეთის გზატკეცილი 21  
ტელ: (+995 32) 224 40 40 ფაქსი: (+995 32) 224 40 41

21 Kakheti Highway, Tbilisi 0190, Georgia  
Tel: (+995 32) 224 40 40. Fax: (+995 32) 224 40 41

№ 001-7-15-02/5

20 " 01 2020

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“  
გენერალურ დირექტორს ბატონ მამუკა კობახიძეს

ასლი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

ბატონო მამუკა,

რეაგირებისათვის გიგზავნით სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში“  
შემოსული შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2015 წლის 8  
იანვრის №67/1 (ჩვენი №01-1301-1) წერილის ასლს.


გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული წერილი და პასუხი აცნობოთ შპს „საქართველოს  
გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“.

დანართი: 1 ფურცელი და 1 CD.

პატივისცემით,

ზაქარია ავალოანი

დირექტორი ტექნიკურ საკითხებში





ს/ს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია  
J.S.C. WISSOL PETROLEUM GEORGIA

26 იანვარი, 2015 წ.

#01/97

საქართველოს გაერთიანებული

წყალმომარაგების  
კომპანიას

თქვენი წერილის (№87/1/08.01.2015) პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოწვედილი კანადისხატიის ტრასასა და ჩვენს კომუნიკაციებს შორის, რამოდენიმე ადგილზე ხდება გადაკვეთა, სადაც აუცილებელ პირობად უნდა ჩაიდოს, ამ ადგილების ხელით დამუშავება.


მთელ რიგ მონაკვეთზე იკვეთება ჩვენს კომუნიკაციასთან პარალელურად მიწის სამუშაოების ჩატარების საჭიროება. ამ მონაკვეთებზე გზის ორივე მხარეს მდებარე აბონენტებს მივწოდებთ ასევე მიწისქვეშა გაზსადენებით ბუნებრივი აირი. (განივად). თითოეულ ასეთ მონაკვეთზე საჭიროა ასევე სამუშაო გათხრა შესრულდეს ხელით.

გაზსადენის დაზიანების შემთხვევაში, ვიტოვებთ უფლებას მოვითხოვოთ მოყენებული ზარალის ანაზღაურება.

სამუშაოების დაწყების დღიდან ჩვენი წარმომადგენელი გაგიწევთ კონსულტაციებს, რომლის საკონტაქტო ტელეფონია 5 77 21 22 73 ბატონი გია მუმლაური.

გენერალური დირექტორი

ვასილ ხორაეა



74B, I. CHAVCHAVADZE AVE.  
0162 TBILISI, GEORGIA

TEL.: +995 322 91 53 15  
FAX: +995 322 91 52 55

WEB: WWW.WISSOL.GE  
E-MAIL: OFFICE@WISSOL.GE



დანართი ინტეგრაცია  
კარტოგრაფია

№ 243/01-8

22.01.2006

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის  
დირექტორის მოადგილეს ტექნიკურ და ოპერირების საკითხებში  
ბ-ნ ლევან ვაშაქიძეს

ბატონო ლევან,

შემოხული წერილის N87/1 პასუხად გაცნობებთ, რომ პროექტით აღნიშნულ ტერიტორიაზე  
გადის ს.ს. „სილქნეტის“ კომუნიკაციები, რომლის გადაკვეთის წერტილები აღნიშნულია CD-  
დისკზე.

სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია გამოძახებულ იქნას ს.ს. „სილქნეტის“  
წარმომადგენელი.

ოპერატიული მართვის განყოფილება: 2950029; 2932740

- დანართი: 1. CD დისკი (2 ცალი)
- 2. შეთანხმების დანართი #4

მატივსცემით,

ლევან ჯორჯაძე  
საბონინტო ქსელის განვითარებისა და  
ექსპლოატაციის მიმართულების დირექტორი

1/2435  
22-01-2006



8 ივლისი, 2015 წელი

ქ. თელავი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების  
მეორე პროექტი (RMIDP II)

ქ. თელავის საკანალიზაციო მთავარი მაგისტრალის რეაბილიტაციის  
ქვე-პროექტის გარემოსდაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა

2015 წლის 8 ივლისს ქ. თელავში, ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, ჩატარდა ქ. თელავის საკანალიზაციო მთავარი მაგისტრალის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის გარემოს დაცვის მართვის გეგმის/სოციალური და გენდერული საკითხების საჯარო განხილვა. შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქ. თელავის მერიის წარმომადგენლები: გიორგი ენუქიძე, ბექა ებატაშვილი,

ასევე: ზურაბ აბუაშვილი - „თელავი ჩემი ქალაქია“

თამარ ლაზარიაშვილი - „თელავი ჩემი ქალაქია“ თავჯდომარე

ჯუმბერ სახენიშვილი - „საზოგადოებრივი დარბაზი“

ზურაბ გელაშვილი - „საზოგადოებრივი დარბაზი“

დავით წიქარიძე - აღმ. ერთეული „ძველი თელავი“

გიორგი ყურაშვილი - აღმ. ერთეული „დასავლეთ თელავი“

ლამა გიგაური - აღმ. ერთეული „ცენტრ თელავი“

ადგილობრივი მაცხოვრებლები: სვეტა ნინიკელაშვილი, თამარ ჩაველაშვილი, ბესიკ გიგაური, იოსებ პაპუნაშვილი, ვაჟა ყაჯრიშვილი, ზურაბ თავბერიძე, ზურაბ ლომიძე, ზურაბ ლომიძე, გიორგი მჭედლიშვილი, მედიის წარმომადგენლები:

მერი ზაალიშვილი - ჟურნალისტი  
ზურაბ არსენიშვილი - ჟურნალისტი  
დავით ღონდაძე - რადიო „ჭერეთი“ ბლოგერი  
ამირან ამირანიძე - კავკასიონი 45.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;  
ნონა ჭიჭინაძე - სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტი;  
დავით ბახსოლიანი - განსახლების სპეციალისტი;  
ირაკლი ჯაფარიძე - გარემოს დაცვისა და განსახლების განყოფილების სტაჟიორი

შეხვედრაზე ნინო პატარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია ქვე-პროექტის მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. მან ისაუბრა შეხვედრის მიზნების შესახებ და საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტისათვის მომზადებული სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად. მოკლედ შეეხო ჩამდინარე წყლების მდგრადი მართვის პროექტის ფარგლებში ქ. თელავში დაგეგმილ საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტს, რომელიც ხორციელდება მგფ-ის მიერ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერითა და SIDA-ს. (შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო) გრანტით. ნ. პატარაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ორი პროექტი წარიმართება პარალელურად, ერთმანეთისგან დამუკიდებლად, რათა მინიმუმადე იქნას დაყვანილი ჩამდინარე წყლების მდინარე ალაზანში ჩაშვებით მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა.

მან ასევე, ისაუბრა სამშენებლო სამუშაოებისას გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებების გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებისა და მათი

განხორცილების ზედამხედველობის პასუხისმგებლობებზე და აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი გეგმა წარმოადგენს მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. კონტრაქტორის შერჩევა მოხდება ტენდერის საფუძველზე და ხელშეკრულებით დაევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები ნ. პატარაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

ნ. ჭიჭინაძემ ისაუბრა პროექტის სოციალური და გენდერული ზეგავლენის შესახებ, აღნიშნა ის სარგებელი, რაც შესაძლოა მიიღოს მოსახლეობამ, კერძოდ კი შეეხო დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივას, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის საკითხებს, ისაუბრა ქალთა დასაქმებაზე. პროექტის მნიშვნელობაზე მცირე ბიზნესისა და ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. სამოქალაქო ჩართულობის და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების პერსპექტივაზე. პროექტის გამჭირვალედ მიმდინარეობასა და ინფორმირებულობის მნიშვნელობაზე.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

<b>შეკითხვები და შენიშვნები</b>	<b>პასუხები და კომენტარები</b>
<i>როდის დაიწყება კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტი.</i>	მომზადებულია პროექტი და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, წინასწარ კონკრეტული ვადის განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია, მაგრამ მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, რომ უმოკლეს ვადებში განხორციელდეს საჭირო ნებართვების მოპოვება, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და მშენებელი კომპანიის შერჩევა.
<i>სად აშენდება ახალი კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა.</i>	კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა გათვალისწინებულია ძველი გამწმენდი ნაგებობის ადგილას. პროექტის ფარგლებში მოხდება ძველი გამწმენდის დემონტაჟი და მის ადგილას ახალი, თანამედროვე



	ტექნოლოგიების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა
<i>თუ არის შესაძლებელი რომ პროექტის ფარგლებში მოხდეს ეზოებში არსებული საკანალიზაციო მილსადენების და ჭების რეაბილიტაცია?</i>	როგორც საუბრისას აღვნიშნეთ, მოცემული პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ ქ. თელავის საკანალიზაციო მთავარი მაგისტრალის და მასთან დაკავშირებული კანალიზაციის ჭების რეაბილიტაციას და შესაბამისად პროექტის ფარგლებში სხვა სახის სამუშაოები ვერ დაფინანსდება.
<i>მიგვითითეთ ვის შეუძლია დახმარების გაწევა.</i>	არსებული პრობლემების შესახებ დახმარება უნდა სთხოვოთ ქ. თელავის მერიას და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, რომელიც პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ქალაქის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების გამართული მუშაობა.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება პროექტის მიმართ და განაცხადეს, რომ უმჯობესია ერთდროულად დასრულდეს საკანალიზაციო კოლექტორების რეაბილიტაცია და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების მდინარე ალაზანში ჩაშვება და მისი დაბინძურება.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვის სპეციალისტის ნინო პატარაშვილის მიერ.

8 ივლისი, 2015.

ფოტოები



დამსწრეთა სია

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

თელავის საკანალიზაციო მთავარი მაგისტრალის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტის გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა

8 ივლისი 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	სვინა ნინოიასიძე	პოქაძე აგ.ნ.ე. თ.კ.კ.	595531825	
2.	თამარ ჩუქნაძე	პოქაძე აგ.ნ.ე. თ.კ.კ.	597190005	თ. ჩუქნაძე
3.	ქეთი ტაყაიძე	ეკოლოგია	27-18-33	ქეთი
4.	მანანა აბრამიძე	ეკოლოგია	5977770640	მ. აბრამიძე
5.	ქვემო სხვიძისი <del>სხვიძისი</del>	სამსახურეობრივი დარბაზი	591-150-706	ბ. სხვიძე
6.	მანანა ევაშვილი	სამსახ. დარბაზი	595155284	მ. ევაშვილი
7.	გიორგი კვიციანი	ქვემო სხვიძისი	599733213	გიორგი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ბელომწერა
8.	შატი რბილაშვილი	თქვენი? პარტია	551-44-77-49	
9.	ბესიკ ჯგერია	თქვენი	577 76 81 76	
10.	როსტომ ჯანაშია	თქვენი	570 70 78 70	რ. ჯანაშია
11.	ვაჟა ყაფიანი	თქვენი	593 227 117	
12.	გიორგი ივანიშვილი	„საქართველოს ფიქტი“	574 221 710	
13.	თამარ ჯანაშია	„საქართველოს ფიქტი“	599 736 304	თ. ჯანაშია
14.	ლევან ჯანაშია	„საქართველოს ფიქტი“	593 153-286	
15.	გიორგი ა. ივანიშვილი	თქვენი	593 214857	
16.	ვაჟა ჯანაშია	თქვენი	577 50 53 22	
17.	გიორგი ივანიშვილი	თქვენი	558-466-723	

